



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო



გ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა № 376

8 ნოემბერი
“ --- ” ----- 2019 წ

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, გლდანში, ქერჩის ქუჩა №6 და №6ა-ს მიმდებარედ საკადასტრო კოდები: №01.11.05.029.168; №01.11.05.029.167; №01.11.05.029.212 განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 17 ოქტომბრის №19.1102.1402 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას ქ. თბილისში, გლდანში, ქერჩის ქუჩა №6 და №6ა-ს მიმდებარედ საკადასტრო კოდები: №01.11.05.029.168; №01.11.05.029.167; №01.11.05.029.212 განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ოფიციალურ ვებ - გვერდზე www.urban.tbilisi.gov.ge რეგისტრირებული №01190494558-67 (01191703024-67-19.06.2019, 01192141-67-02.08.2019, 01192563724-67-13.09.2019, 0119267171-67-24.09.2019) განაცხადის და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად.

2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6),

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე

ქ. თბილისში, ქერჩის ქუჩა N6ა-ს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე
(საკადასტრო კოდი: N 01.11.05.029.168; 01.11.05.029.167; 01.11.05.029.212)

მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის

განაშენიანების რეგულირების გეგმის

გეგმარებითი დავალება

თბილისი

2019 წელი

გეგმარებითი დავალების შინაარსი

1.	გეგმარებითი დავალების გაცემის საფუძველი	3
1.1	ტერმინთა განმარტება	3
1.2	სამართლებრივი საფუძვლები და განცხადების რეკვიზიტები	3
1.3	ამოსავალი პირობები	5
2	ტერიტორიის სამშენებლო განვითარების ზოგადი პირობები, მოთხოვნები და რეკომენდაციები.....	7
2.1	გასათვალისწინებელი ქალაქთმშენებლობითი სტანდარტები	7
2.1.1	გასათვალისწინებელი ტექნიკური რეგლამენტები:	7
2.2	ტერიტორიის დახასიათება.....	7
2.3	შენობა-ნაგებობის არქიტექტურულ-კომპოზიციური გადაწყვეტა და კავშირი მიმდებარე გარემოსთან.....	8
2.4	სივრცით მოცულობითი გადაწყვეტა; მიწის ნაკვეთზე არსებული შენობა-ნაგებობების დანგრევა და გადატანა, ან მათი სივრცით-გეგმარებითი მოწყობის შეცვლა	9
2.5	მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობათა განთავსების პირობები და მაქსიმალური სიმაღლეების განსაზღვრა	9
2.6	მოთხოვნები იმ ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებების დაცვაზე, რომელთა ინტერესებსაც ეხება ტერიტორიის სამშენებლო განვითარება (საკადასტრო ერთეულების გაერთიანება-შერწყმა ახალი სერვიტუტების წარმოქმნა, ინსოლაცია, ბუნებრივი განათება, ჩაუხედავობა და სხვა).....	10
2.7	ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების შენარჩუნება, ტერიტორიის კეთილმოწყობა და გარემოს დაცვის პირობების განსაზღვრა	10
2.8	მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესრულების საჯაროობა.....	12
2.9	ტერიტორიის და მისი გეგმარებითი არეალის საინჟინრო-კომუნალური, სატრანსპორტო და სოციალური ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა	12
3	ტერიტორიის სამშენებლო განვითარების პარამეტრები;.....	13
3.1	საპროექტო ტერიტორიის არეალი.....	13
3.2	არსებული ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები.....	14
3.3	დასაშვები ფუნქციური ზონის სახეობები.....	15
3.4	განაშენიანების რეგულირების ხაზები	18
4	განაშენიანების რეგულირების გეგმის (შემდეგში – გრგ) შესატანხმებლად წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი.....	18
5	შენიშვნები:.....	20

1. გეგმარებითი დავალების გაცემის საფუძველი

1.1 ტერმინთა განმარტება

დოკუმენტში გამოყენებული ტერმინები განმარტებულია “სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ” საქართველოს კანონში და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილებით დამტკიცებულ “დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების თაობაზე” ტექნიკურ რეგლამენტში, რომლის მიხედვითაც ძირითადი ტერმინები, გეგმარებითი დავალება და განაშენიანების რეგულირების გეგმა, განმარტება შემდეგნაირად:

გეგმარებითი დავალება – დაგეგმვის უფლებამოსილების მქონე საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი უწყებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ განსაზღვრული მოთხოვნების ერთობლიობა, რომლებიც ადგენს დაგეგმვის ამოცანებს, პარამეტრებს და ტერიტორიულ ფარგლებს, აგრეთვე დაგეგმვის და მისი განხორციელების ეკოლოგიურ, ტექნიკურ, საორგანიზაციო და სხვა პირობებს;

განაშენიანების რეგულირების გეგმა – ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტი, რომელიც დასახლებათა ტერიტორიებისთვის ადგენს მიწათსარგებლობის ზონებს (ქვეზონებს) ან/და აზუსტებს ცალკეული გეგმარებითი ერთეულების, განაშენიანების არქიტექტურულ-გეგმარებით და სივრცით-მოცულობით მახასიათებლებს, შენობების განთავსებას, მათ გეგმარებით პარამეტრებს; აზუსტებს უძრავი კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და განვითარების ქალაქთმშენებლობით მახასიათებლებს, რელიეფის ორგანიზებას, ტერიტორიების კეთილმოწყობასა და გამწვანებას, საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფას.

1.2 სამართლებრივი საფუძვლები და განცხადების რეკვიზიტები

განაშენიანების რეგულირების გეგმის/გეგმარებითი დავალების დამტკიცების საკანონმდებლო საფუძვლები

1. ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ (68-ე მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტისა და 75-ე მუხლის „ე“ პუნქტის „ე.ბ“ ქვეპუნქტი);
2. საქართველოს კანონი „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობითი საფუძვლების შესახებ“;
3. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესები (მე-9 მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტები);
4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-16 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის დებულება (მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი);

5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულება N19.1102.1402 (17/10/2019)
6. წინასაპროექტო კვლევა;
7. ქ. თბილისის მერიის მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის წერილი - N01192751947 (02/10/2019)
8. ქ. თბილისის მერიის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის წერილი - N01192683238 (25/09/2019); N01191852531 (04/07/2019)
9. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს წერილი - N61-0119275261 (02/10/2019)
10. ქ. თბილისის მერიის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის წერილი - 21-01192831501 (10/10/2019)
11. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულება N19.388.520 (5/04/2019)

განაშენიანების რეგულირების გეგმის/გეგმარებითი დავალების შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები

კანონი

1. „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობითი საფუძვლების შესახებ“;

განაშენიანების რეგულირების გეგმის/გეგმარებითი დავალების შემუშავების სახელმძღვანელო სამართლებრივი დოკუმენტები

საქართველოს კონსტიტუცია

კანონი

1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
2. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი;
3. „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონი;
4. „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი;
5. „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონი;
6. საქართველოს კანონი „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობითი საფუძვლების შესახებ“;
7. „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“;
8. „სავაჭრომობილო გზები შესახებ“ საქართველოს კანონი.

მთავრობის დადგენილება/მინისტრის ბრძანება

1. ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებები“;
2. „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს

მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილება;

3. „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის N366 დადგენილება;
4. „ტექნიკური რეგლამენტის - „სამოქალაქო უსაფრთხოების საინჟინრო-ტექნიკური ღონისძიებების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N51 დადგენილება;
5. „საქართველოს ტერიტორიაზე ტექნიკური ზედამხედველობისა და სამშენებლო სფეროში 1992 წლამდე მოქმედი ნორმების, წესების და ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტების გამოყენების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის N1-1/251 ბრძანება;
6. „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის N365 დადგენილება;
7. „ქალაქ თბილისის, გარდაბნის მუნიციპალიტეტისა და მცხეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2006 წლის 27 დეკემბრის N4173 დადგენილება;
8. „მუხლდუღი შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის N41 დადგენილება;
9. „ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილება;
10. „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილება.

1.3 ამოსავალი პირობები

განცხადების რეკვიზიტები

განცხადება	01190494558-67 (18.02.2019) 0119267171-67 (24.09.2019)
განმცხადებელი	ალექსანდრე გიორგაძე; გოგი გიებაშვილი
ობიექტის მისამართი/ ადგილმდებარეობა	ქერჩის ქუჩა N6ა-ს მიმდებარედ
მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდები	01.11.05.029.168; 01.11.05.029.167; 01.11.05.029.212
ფუნქციური დანიშნულება	მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსი

ფუნქციური გამოყენება	საცხოვრებელი; კომერციული და საოფისე;
ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონა	პერიფერიული ზონა (პზ) – დედაქალაქის ტერიტორიების ათვისების დაბალი ხარისხის ნიშნით გამოყოფილი ტერიტორიული ელემენტი; გეგმარებითი კარკასი (გკ) – დედაქალაქის ცენტრალურ, შუალედურ და პერიფერიულ ზონებში, ქალაქის მატერიალური გარემოს ათვისების მაღალი ხარისხის, სხვადასხვა დანიშნულების ობიექტების კონცენტრაციის, ტერიტორიების გამოყენების ინტენსივობის, არქიტექტურულ-ქალაქთმშენებლობითი ანსამბლებისა და მოცულობითი აქცენტების, საზოგადოებრივი ცენტრების - აქტიური საცხოვრებელი და საზოგადოებრივი გარემოს არსებობის ნიშნით გამოყოფილი სტრუქტურული ელემენტი, რომელიც ყალიბდება საერთო საქალაქო მნიშვნელობის უწყვეტი და რეგულირებადი, აგრეთვე რაიონული მნიშვნელობის სატრანსპორტო - ფეხმავალი მაგისტრალებისა და ქუჩების გასწვრივ და რომელიც, როგორც წესი, მოიცავს ნაკვეთების პირველ რიგს, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტებით.
განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონა	-
კულტურული მემკვიდრეობის და გარემოს დამცავი ზონა	-
სპეციალური რეჟიმები	-
არქეოლოგიური უბანი/ობიექტი	-
ნორმატიული ფასის ზონა	უბანი - გლდანი; ქვეუბანი - გლდანულა; ზონის ნომერი-82; ნორმატიული ფასი -20ლ;
გეგმარებითი შეზღუდვები	განაშენიანების რეგულირების წითელი ხაზი

2 ტერიტორიის სამშენებლო განვითარების ზოგადი პირობები, მოთხოვნები და რეკომენდაციები

2.1 გასათვალისწინებელი ქალაქთმშენებლობითი სტანდარტები

- საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის ბრძანება N1-1/251-ის მიხედვით მოქმედი ნორმა: სნ. და წ. 2.07.01-89 ქალაქთმშენებლობითი სტანდარტების და წესების შესახებ;
- სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური, 2016 წლის სარეკომენდაციო დოკუმენტი „განაშენიანების რეგულირების გეგმის სტანდარტი“;

2.1.1 გასათვალისწინებელი ტექნიკური რეგლამენტები:

- „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების“ ტექნიკური რეგლამენტის (დამტკიცებული საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის N41 დადგენილებით);
- 2017 წლის 01 იანვრიდან ძალაში შევიდა საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს დამტკიცების თაობაზე. ამ დადგენილების მოქმედება ვრცელდება კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრულ III, IV კლასს დაქვემდებარებული შენობებისა და ნაგებობების დაგეგმარებაზე და მშენებლობაზე;
- საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება №1-1/2284 2009 წლის 7 ოქტომბერი ქ. თბილისი სამშენებლო ნორმების და წესების – „სეისმომდებელი მშენებლობა“ (პნ 01.01-09) – დამტკიცების შესახებ.

2.2 ტერიტორიის დახასიათება

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, გლდანში, ქერჩის ქუჩის და გმირი კურსანტების კუთხეში. საერთო ფართობი შეადგენს 5559 კვ.მ. საპროექტო ტერიტორია მოიცავს 3 მიწის ნაკვეთს (01.11.05.029.168; 01.11.05.029.167; 01.11.05.029.212). აქედან ორი (01.11.05.029.168; 01.11.05.029.167) კერძო საკუთრებაშია და ერთი (01.11.05.029.212) მუნიციპალურ საკუთრებას წარმოადგენს. საპროექტო და მომიჯნავე ტერიტორიაზე მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6, ხოლო გამწვანებული რუკის მიხედვით ტერიტორიის გარკვეულ მონაკვეთში ვრცელდება შიდა კვარტალური გამწვანების ფენა. მთლიანად ტერიტორია ხასიათდება რთული რელიეფით, ტერიტორიის სამხრეთ ნაწილში არსებული დამრეცი ფერდის საშუალო ქანობია 15 გრადუსი, რომელიც მშენებლობის სტადიაზე წარმოქმნის გარკვეულ სირთულეებს. მეორე მხრივ ტერიტორიაზე გმირი კურსანტების მხარეს განთავსებულია ხეები, რომელთა შენარჩუნებაც მიზანშეწონილია.

2.3 შენობა-ნაგებობის არქიტექტურულ-კომპოზიციური გადაწყვეტა და კავშირი მიმდებარე გარემოსთან

- საპროექტო ობიექტები დაგეგმარდეს გრგ პროექტით განსაზღვრულ სექტორების საზღვრებში (მათი არსებობის შემთხვევაში) იმგვარად, რომ არ სცდებოდეს გრგ დავალებით დადგენილ საპროექტო არეალს; საპროექტო არეალი შესაძლებელია დაზუსტდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის ეტაპზე წინამდებარე განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების 3.1 პუნქტის გათვალისწინებით.
- საპროექტო ობიექტები დაგეგმარდეს გათვალისწინებულ იქნას სამსახურის მიერ დადგენილი განაშენიანების რეგულირების წითელი ხაზი. (იხ.დანართი)
- N14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ თანახმად მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობათა განთავსების პირობების, მათი მაქსიმალური სიმაღლეების განსაზღვრის, შეუსაბამო ნაკვეთების აღმოფხვრისა და თითოეული მიწის ნაკვეთისათვის საზოგადოებრივი სივრცის განსაზღვრის მიზნით გრგ-ს პროექტის ეტაპზე წარმოდგენილ იქნას განახლებული მიწის ნაკვეთის გამიჯვნა. შესაძლებელია მიწის ნაკვეთების კონფიგურაციის ცვლილება ფართობისა და გეგმარებითი დავალებით დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის უცვლელად.
- წარმოდგენილი იქნეს საპროექტო ტერიტორიის მიწის ნაკვეთების განაწილების გეგმა N14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ მუხლი 26-ის (მიწის ნაკვეთის გამიჯვნა) თანახმად, რომლის შესაბამისად მომზადებული საკადასტრო გეგმები შემდგომში იქნება მშენებლობის ნებართვის გაცემის საფუძველი;
- დაგეგმარების დროს მაქსიმალურად იქნას გათვალისწინებული მომიჯნავე ნაკვეთების განვითარების შესაძლებლობა;
- დაგეგმარების პროცესში გათვალისწინებული იქნეს საქვეითო კავშირები მომიჯნავე განაშენიანებასთან;
- სარეკრეაციო სივრცეები დაგეგმარდეს მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის ინფრასტრუქტურისათვის შესაბამისი მოცულობებით, განისაზღვროს სპორტული მოედნები, სკვერები, საბავშვო სათამაშო მოედნები ქალაქთმშენებლობითი სტანდარტებისა და წესების გათვალისწინებით;
- რეკომენდებულია სათამაშო სპორტული მოედნები გათვალისწინებული იქნეს სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის და უმცროსი ასაკის მოსწავლეებისთვის 0,7 კვ.მ/აღმიაწზე (სამშენებლო ნორმები და წესები, ქალაქთმშენებლობა, ქალაქისა და სოფლის დასახლების დაგეგმარება და განაშენიანება, სნ და პ 2.07.01.89).

2.4 სივრცით მოცულობითი გადაწყვეტა; მიწის ნაკვეთზე არსებული შენობა-ნაგებობების დანგრევა და გადატანა, ან მათი სივრცით-გეგმარებითი მოწყობის შეცვლა

- აღქმის წერტილები, დომინანტები და სილუეტი განისაზღვროს განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტით;
- ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2019 წლის 2 ოქტომბრის 61-0119275261 წერილის შესაბამისად განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტით არ შემცირდეს 01.11.05.029.212 - საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით განსაზღვრული განაშენიანების პოტენციალი.

2.5 მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობათა განთავსების პირობები და მაქსიმალური სიმაღლეების განსაზღვრა

- მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობათა განთავსების პირობები და მაქსიმალური სიმაღლეების განსაზღვრა რეგულირდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ V თავის თანახმად;
- საზოგადოებრივი საზღვარი განისაზღვროს გმირი კურსანტების შესახვევის მხრიდან; ხოლო მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდით: 01.11.05.029.212) საზოგადოებრივი საზღვარი დაუდგინდეს გრგ-ს პროექტით;

მაქსიმალურად დასაშვები სიმაღლე: განისაზღვრება ფორმულით $H=L/Y$, სადაც;

H - განაშენიანების სიმაღლის რეგულირების ხაზის ნიშნულს;

L წარმოადგენს დაშორებას შენობასა და საზოგადოებრივ სივრცეს ან/და სამეზობლო საზღვარს შორის.

Y= წარმოადგენს კოეფიციენტს, რომლის მნიშვნელობაა:

ა) 0.35 დასახლებათა საზოგადოებრივ-საქმიანი ზონებისათვის;

ბ) 0.25 სამრეწველო ზონებისათვის;

გ) 0.4 ყველა სხვა ზონისათვის.

2.6 მოთხოვნები იმ ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებების დაცვაზე, რომელთა ინტერესებსაც ეხება ტერიტორიის სამშენებლო განვითარება (საკადასტრო ერთეულების გაერთიანება-შერწყმა ახალი სერვიტუტების წარმოქმნა, ინსოლაცია, ბუნებრივი განათება, ჩაუხედავობა და სხვა)

- ტერიტორიის სამშენებლო განვითარება განისაზღვროს ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტით, ქვეყანაში და დედაქალაქში დადგენილი სამართლებრივ-ნორმატიული მოთხოვნების საფუძველზე;
- დაცული იქნეს მიწის ნაკვეთის საზღვარზე (მიჯნაზე) სამშენებლო წესებისა და ნორმების მოთხოვნები;
- შენობების განთავსების ადგილები განისაზღვროს საინჟინრო გეოლოგიური დასკვნების შესაბამისად;
- გრგ-ს პროექტის სტადიაზე წარმოდგენილი იქნეს მესაკუთრ(ებ)ის ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა;
- განაშენიანების რეგულირების გეგმის დასამტკიცებლად მომართვა უნდა განახორციელოს მიწის ნაკვეთის მესაკუთრეებმა ან მინდობილმა პირმა, შესაბამისი ფორმით დამოწმებული თანხმობით;
- საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილი იქნეს განახლებული საკადასტრო გეგმები და ამონაწერები საჯარო რეესტრიდან;
- საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილი იქნეს იპოთეკარის შესაბამისი ფორმით დამოწმებული თანხმობა;
- დაცული იქნეს არსებული საინჟინრო კომუნიკაციებიდან და მათი ფუნქციონირებისათვის განკუთვნილი ნაგებობებიდან საპროექტო კომპლექსის განთავსების ნორმები, გრგ შემდგომ სტადიაზე წარმოდგენილი იქნეს თანხმობა შესაბამისი სამსახურიდან;
- საჭიროების შემთხვევაში მიწის ნაკვეთების იმ მესაკუთრეების თანხმობები, რომელთა საკუთრებაზე გაივლის დაგეგმილი საგზაო ინფრასტრუქტურა;
- გრგ-ს პროექტის დამტკიცების სტადიაზე წარმოდგენილი იქნეს გრგ-ს პროექტში შემავალი მიწის ნაკვეთის საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა - ამონაწერ(ებ)ი საჯარო რეესტრიდან; იმ შემთხვევაში, თუ მესაკუთრე შპს-ა, მაშინ ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან და პასუხისმგებელი პირის/პირების ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა.

2.7 ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების შენარჩუნება, ტერიტორიის კეთილმოწყობა და გარემოს დაცვის პირობების განსაზღვრა

- შენარჩუნებული იქნეს ტერიტორიაზე არსებული ხე-ნარგავები, ხოლო მათი მოჭრის ან

გადარგვის აუცილებლობის შემთხვევაში საკითხი შეთანხმდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურთან; აღნიშნულთან დაკავშირებით გაითვალისწინეთ გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2019 წლის 2 ოქტომბრის წერილი N01192751947;

- წარმოდგენილი იქნეს საპროექტო ტერიტორიის კეთილმოწყობის პროექტი და გამწვანების დენდროლოგიური პროექტი;
- განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავებისას გათვალისწინებული იქნეს გარემოსდაცვითი და სანიტარული კანონმდებლობის მოთხოვნები;
- მოეწყოს ლიფტები და პანდუსები უნარშეზღუდული პირების ეტლების გადასადგომად;
- ბავშვთა სათამაშო და სპორტული მოედნები დაიგეგმოს მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის ინფრასტრუქტურისთვის შესაბამისი მოცულობებით.
- რეკომენდებულია გამწვანებული და ღია სივრცეები განისაზღვროს 3,5 კვ.მ/მაცხოვრებელზე (სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისთვის: გზების ქუჩების და ავტოსადგომების გამოკლებით), ხოლო 2 კვ.მ² /დასაქმებულზე.
- გამოიყოს ტერიტორიები ნაგვის ყუთების განსათავსებლად, ადგილი სადაც უნდა განთავსდეს კონტეინერი, გათვალისწინებული და გათვლილი უნდა იქნას ისე, რომ ნაგავმზიდი ა/მანქანა თავისუფლად მიდიოდეს მის დასაცლელად. ან უნდა იყოს საავტომობილო გზის პირას, ან უნდა იყოს გამჭოლი ადგილი სადაც ერთი მხრიდან შევა ნაგავმზიდი ა/მანქანა და სხვა მხრიდან შეძლებს ცენტრალურ გზაზე გამოსვლას, ან უნდა იყოს ისეთი ადგილი სადაც ნაგავმზიდი ა/მანქანა შეძლებს თავისუფლად შესვლას და მოძრაობას რათა თავისუფლად შეეძლოს მობრუნება.

ნაგავშემკრები კონტეინერების განლაგება ახალაშენებულ მრავალბინიან კორპუსებთან შესაძლებელია შემდეგნაირად:

100 ბინამდე 1-3 ცალი 1100 ლიტრიანი კონტეინერი - გამოსაყოფი ფართობი 6-8 კვ.მ

100-200 ბინამდე 4-6 ცალი 1100 ლიტრიანი კონტეინერი - გამოსაყოფი ფართობი 16 კვ.მ

200 და მეტი ბინა 6-10 ცალი 1100 ლიტრიანი კონტეინერი - გამოსაყოფი ფართობი 24 კვ.მ

კონტეინერების განთავსებასთან დაკავშირებით (ოდენობა, ზომა, მოცულობა, განლაგება) გადაწყვეტილებას იღებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ უფლებამოსილი სამსახური ან ოპერატორი.

ტერიტორიის ურბანული დაგეგმარებიდან, სპეციფიკიდან და უკვე არსებული მარშრუტებიდან გამომდინარე სამსახური ან ოპერატორის მიერ დასაბუთებული გადაწყვეტილებით (მრავალბინიანი საცხოვრებელი) შესაძლებელია მთლიანად ან ნაწილობრივ განთავისუფლდეს კონტეინერების დადგმის ვალდებულებისაგან, მიეცეს რეკომენდაცია (მუდმივად ან დროებით

გარკვეულ დრომდე) განთავსდეს სხვა ზომის, ფორმის, მოცულობის კონტეინერები, ასევე მიეცეს რეკომენდაცია გამოსაყოფი ფართის შემცირებასთან დაკავშირებით.

კონტეინერების განთავსებასთან დაკავშირებით შემოსულ განაცხადს სამსახური ან/და ოპერატორი განიხილავს ინდივიდუალურად, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება დადგენილ წესზე მეტი ან ნაკლები (სხვადასხვა ზომის, მოცულობის) კონტეინერის განთავსებასთან დაკავშირებით.

ნაგავშემკრები კონტეინერების განთავსებასთან დაკავშირებით წარმოადგინეთ შპს „თბილსერვის ჯგუფის“ პოზიცია.

2.8 მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესრულების საჯაროობა

- ნებართვის გაცემის თითოეულ სტადიაზე განცხადების შეტანის მომენტისათვის უზრუნველყოფილი იქნეს შესაბამის ობიექტზე (შენობა-ნაგებობაზე), თვალსაჩინო ადგილას საინფორმაციო დაფის განთავსება. სამშენებლო დოკუმენტში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება, რომელიც ცვლის საინფორმაციო დაფაზე განთავსებული ინფორმაციის არსს, უნდა განთავსდეს საინფორმაციო დაფაზე. საინფორმაციო დაფის მინიმალური გაზომვითაა A2 ზომის ფორმატი. საინფორმაციო დაფა უნდა არსებობდეს სამშენებლო სამუშაოთა წარმოების მთელ პერიოდში და მოიხსნას შენობა-ნაგებობის მშენებლობის დასრულების ან/და ექსპლუატაციაში მიღების შემდეგ. დაუშვებელია მისი სარეკლამო მიზნებისათვის გამოყენება;
- საპროექტო ტერიტორიის დაგეგმვის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს საჯაროობის უზრუნველყოფას („საქართველოს კანონი სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“, მუხლი 6; საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებები“ მუხლი 24) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ მუხლი 9, პუნქტი 17-ის შესაბამისად.

2.9 ტერიტორიის და მისი გეგმარებითი არეალის საინჟინრო-კომუნალური, სატრანსპორტო და სოციალური ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა

- განისაზღვროს ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტით;
- დაგეგმილი განაშენიანება უზრუნველყოფილი იქნეს მოქმედი რეგლამენტების მიხედვით დაგეგმარებული საინჟინრო, სატრანსპორტო, სოციალური და სხვა სახის ინფრასტრუქტურით;
- დაცული იქნეს არსებული საინჟინრო კომუნიკაციებიდან და მათი ფუნქციონირებისათვის განკუთვნილი ნაგებობებიდან საპროექტო კომპლექსის განთავსების ნორმები, ხოლო მათი გატანის აუცილებლობის საკითხი შეთანხმდეს შესაბამის მფლობელებთან;

- გათვალისწინებული იქნეს ხაზოვანი ნაგებობების (წყალსადენი, გაზსადენი, ელექტრო სადენი, წყალარინების სადენი და სხვა) სქემა, როგორც პროექტში, ასევე, ყველა საჭირო რუკაზე;
- გრგ-ს პროექტით განისაზღვროს სპეციალური ადგილები საკომუნიკაციო მომსახურების უზრუნველსაყოფად (წყალსადენი, გაზსადენი, ელექტრო სადენი, წყალარინების ქსელი და სხვა);
- გრგ პროექტში წარმოადგინეთ საპროექტო ტერიტორიის ყველა საინჟინრო კომუნიკაციისთვის (წყალსადენი, გაზსადენი, ელექტრო სადენი, წყალარინების ქსელი და სხვა) ძირითადი და ლოკალური ხაზობრივი ნაგებობები შესაბამისი კატეგორიის ხაზობრივი ნაგებობა და დაცვის ზოლი, პარამეტრების ცხრილი, აგრეთვე, ცალკეული მიწის ნაკვეთებისთვის (მათი არსებობის შემთხვევაში) განკუთვნილი სიმძლავრეები;
- მონაცემები და სქემები საინჟინრო ინფრასტრუქტურის შესახებ წარმოდგენილი იქნეს შესაბამისი უწყებებიდან (თანდართული ოფიციალური წერილით - მხოლოდ საპროექტო ტერიტორიისთვის), სადაც დატანილი იქნება მათი ტრასა შესაბამისი პარამეტრების ცხრილით და განვითარების პოტენციალით;
- მიწის ნაკვეთის გამოჯენისას, ცალკეული ნაგებობებისთვის გათვალისწინებული იქნეს თითოეული მიწის ნაკვეთის საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით სათანადო უზრუნველყოფა, რისთვისაც მინიმალური პირობაა მშენებლობა დამთავრებულ ობიექტთან მინიმუმ ერთი მისასვლელის არსებობა, მათ შორის სერვიტუტის გამოყენებით;

3 ტერიტორიის სამშენებლო განვითარების პარამეტრები;

3.1 საპროექტო ტერიტორიის არეალი

საპროექტო ფართობი წარმოადგენს 5 559კვ.მ-ს.

- საპროექტო არეალი შესაძლებელია დაზუსტდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის ეტაპზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების მე-9 მუხლის შესაბამისად: „9¹. დამტკიცებული გეგმარებითი დავალებით ან/და განაშენიანების რეგულირების გეგმით განსაზღვრული საპროექტო ტერიტორიის ფართობის დაზუსტება დასაშვებია, თუ წარმოდგენილი ფართობი არაუმეტეს 10%-ით აღემატება (მაგრამ არაუმეტეს 5000 კვ.მ) გეგმარებითი დავალებით/განაშენიანების რეგულირების გეგმით გათვალისწინებულ პირვანდელ ფართობს.“
- საპროექტო არეალის იმგვარი ცვლილების შემთხვევაში, რომელიც გამოიწვევს საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთებთან 01.11.05.029.167 ან/და 01.11.05.029.168 სხვა მიწის ნაკვეთის მიერთებას გათვალისწინებულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების 21-ე მუხლი: „მიწის ნაკვეთი, რომელზეც გადამეტებულია განაშენიანების რეგულირების პარამეტრები, შესაძლებელია

გაერთიანდეს სხვა მიწის ნაკვეთთან/ნაკვეთებთან იმგვარად, რომ გაერთიანებული ნაკვეთის საერთო ფართობი არაუმეტეს 10%-ისა აღემატებოდეს გაერთიანებამდე არსებული საპროექტო ტერიტორიის ფართობს. გაერთიანებულ მიწის ნაკვეთზე განაშენიანების რეგულირების პარამეტრები ექვემდებარება გასაშუალოებას. გასაშუალოება გამოიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$K^A = S1 \cdot K^1 + S2 \cdot K^2$$

$$S1 + S2$$

სადაც:

K^A – გასაშუალოებული მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტი (კ1) ან მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ2);

$S1$ – საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობი, რომელზეც გადამეტებულია პარამეტრები;

$S2$ – სხვა მიწის ნაკვეთის ფართობი;

K^1 – საპროექტო მიწის ნაკვეთის (რომელზეც გადამეტებულია პარამეტრები) განაშენიანების კოეფიციენტი (კ1) ან მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ2).

K^2 – სხვა მიწის ნაკვეთის (რომელზეც გადამეტებულია პარამეტრები) განაშენიანების კოეფიციენტი (კ1) ან მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ2);“

3.2 არსებული ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული გენერალური გეგმის მიხედვით საპროექტო ტერიტორიაზე დადგენილია ფუნქციური ზონები: **საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6)**;

საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) – მაღალი ინტენსივობის ერთგვაროვანი საცხოვრებელი ქვეზონა, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ საცხოვრებელი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს; განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები. ასევე დასაშვებია ამ წესების დანართი-1-ით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით დაშვებული სახეობები;

განაშენიანების რეგულირების პარამეტრები		
კ-1	0,5	კოეფიციენტი
კ-2	2,5	კოეფიციენტი
კ-3	0,3	კოეფიციენტი
საცხოვრებელი სიმჭიდროვე	–	ერთეული/ჰა

მიწის ნაკვეთის ფართობი და ზომები	მინიმალური ფართობი	600/700 *	კვ.მ
	მინიმალური სიგანე	15/20 *	მეტრი
	მინიმალური სიღრმე	25/30 *	მეტრი
შენობა-ნეგებობის მაქსიმალური სიმაღლე		–	მეტრი
შენიშვნა		* მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის	

3.3 დასაშვები ფუნქციური ზონის სახეობები

საპროექტო ტერიტორიაზე დასაგეგმარებელი ობიექტების ფუნქციები უნდა განისაზღვროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ შესაბამისად.

საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) – მაღალი ინტენსივობის ერთგვაროვანი საცხოვრებელი ქვეზონა, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ საცხოვრებელი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს; განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები. ასევე დასაშვებია ამ წესების დანართი-1-ით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური (ზონალური)შეთანხმებით დაშვებული სახეობები;

მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდით 01.11.05.029.168 ფართობი 2245.00 კვ.მ.) განაშენიანების რეგულირების პარამეტრები			
კ-1		0,5	კოეფიციენტი
კ-2		4,8 **	კოეფიციენტი
კ-3		0,3	კოეფიციენტი
საცხოვრებელი სიმჭიდროვე		–	ერთეული/ჰა
მიწის ნაკვეთის ფართობი და ზომები	მინიმალური ფართობი	600/700 *	კვ.მ
	მინიმალური სიგანე	15/20 *	მეტრი
	მინიმალური სიღრმე	25/30 *	მეტრი
შენობა-ნეგებობის მაქსიმალური სიმაღლე		–	მეტრი
შენიშვნა		* მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის ** დასაშვებია მიწის ნაკვეთის კონფიგურაციის ცვლილება ფართობისა და დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის უცვლელად	

მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდით 01.11.05.029.167 ფართობი 1037.00 კვ.მ.) განაშენიანების რეგულირების პარამეტრები		
კ-1	0,5	კოეფიციენტი

კ-2		3,7 **	კოეფიციენტი
კ-3		0,3	კოეფიციენტი
საცხოვრებელი სიმჭიდროვე		–	ერთეული/ჰა
მიწის ნაკვეთის ფართობი და ზომები	მინიმალური ფართობი	600/700 *	კვ.მ
	მინიმალური სიგანე	15/20 *	მეტრი
	მინიმალური სიღრმე	25/30 *	მეტრი
შენობა-ნეგებობის მაქსიმალური სიმაღლე		–	მეტრი
შენიშვნა	* მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის ** დასაშვებია მიწის ნაკვეთის კონფიგურაციის ცვლილება ფართობისა და დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის უცვლელად		

მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდით 01.11.05.029.212 ფართობი 2277.00 კვ.მ.) განაშენიანების რეგულირების პარამეტრები			
კ-1		0,5	კოეფიციენტი
კ-2		2,5 **	კოეფიციენტი
კ-3		0,3	კოეფიციენტი
საცხოვრებელი სიმჭიდროვე		–	ერთეული/ჰა
მიწის ნაკვეთის ფართობი და ზომები	მინიმალური ფართობი	600/700 *	კვ.მ
	მინიმალური სიგანე	15/20 *	მეტრი
	მინიმალური სიღრმე	25/30 *	მეტრი
შენობა-ნეგებობის მაქსიმალური სიმაღლე		–	მეტრი
შენიშვნა	* მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის ** დასაშვებია მიწის ნაკვეთის კონფიგურაციის ცვლილება ფართობისა და დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის უცვლელად		

სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) — დაუშვებელია ყოველგვარი მშენებლობა, გარდა ამ წესების მე-15 მუხლით განსაზღვრული ქვეზონით მოცული შენობა-ნაგებობებისა;

განაშენიანების რეგულირების პარამეტრები		
კ-1	–	კოეფიციენტი
კ-2	–	კოეფიციენტი
კ-3 *	0,1	კოეფიციენტი

საცხოვრებელი სიმჭიდროვე		–	ერთეული/ჰა
მიწის ნაკვეთის ფართობი და ზომები	მინიმალური ფართობი	–	კვ.მ
	მინიმალური სიგანე	–	მეტრი
	მინიმალური სიღრმე	–	მეტრი
შენობა-ნეგებობის მაქსიმალური სიმაღლე		–	მეტრი
შენიშვნა	* კოეფიციენტი ეხება: ტროტუარის მიმდებარე გაზონებს, ქუჩის მომიჯნავე გამწვანებულ ზოლებს, გამწვანებულ გზაგამყოფებს და მსგავს სივრცეებს და მათი გათვალისწინება სავალდებულოა ქუჩების, გზების, გზატკეცილების მშენებლობისას/რეკონსტრუქციისას, სადაც ეს ტექნიკურად არის შესაძლებელი		

სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) - სარეკრეაციო ქვეზონა, რომელიც მოიცავს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ გამწვანებულ ტერიტორიებს: პარკს, ღია სათამაშო მოედნებს და მსგავსი ტიპის სხვა ტერიტორიებს;

დაუშვებელია ყოველგვარი მშენებლობა, გარდა ამ წესების დანართი-1-ით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით დაშვებული სახეობებისა.

განაშენიანების რეგულირების პარამეტრები			
კ-1		0,2	კოეფიციენტი
კ-2		-	კოეფიციენტი
კ-3		0,8	კოეფიციენტი
საცხოვრებელი სიმჭიდროვე		10/1 **	ერთეული/ჰა
მიწის ნაკვეთის ფართობი და ზომები	მინიმალური ფართობი	1000*	კვ.მ
	მინიმალური სიგანე	-	მეტრი
	მინიმალური სიღრმე	-	მეტრი
შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლე		12***	მეტრი
შენიშვნა	* 2019 წლის 1 აპრილიდან დაყოფის (გამიჯვნის) შედეგად წარმოშობილ მიწის ნაკვეთზე სასტუმროსა და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის **ინდივიდუალური (ერთბინიანი) საცხოვრებელი სახლებისთვის განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში *** ძირითადი დასაშვები და სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით დაშვებული შენობებისათვის		

3.4 განაშენიანების რეგულირების ხაზები

ა) განაშენიანების რეგულირების ხაზები, (წითელი ხაზები) განისაზღვროს გრგ-ს პროექტით;

წითელი ხაზები შენობათა განთავსებისთვის სავალდებულო ინსტრუმენტია და უნდა პასუხობდეს გეგმარებით დავალებას, ან გრგ მიზნებს;

გათვალისწინებულ იქნას სამსახურის მიერ დადგენილი განაშენიანების რეგულირების წითელი ხაზი. (იხ.დანართი)

ბ) განაშენიანების სავალდებულო ხაზები (ლურჯი ხაზები) განისაზღვროს გრგ-ს პროექტით. ლურჯი ხაზები შენობათა განთავსებისთვის არასავალდებულო ინსტრუმენტია და უნდა პასუხობდეს გეგმარებით დავალებას, ან გრგ მიზნებს.

4 განაშენიანების რეგულირების გეგმის (შემდეგში - გრგ) შესატანხმებლად წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი

განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის ალბომი მოიცავს:

1. ალბომის სატიტულო მოთხოვნები: (ყდა , სატიტულო გვერდ(ებ)ი, საკვალიფიკაციო გვერდი; სარჩევი);
2. სამართლებრივი აქტი (განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების ბრძანება ან დადგენილება ან განკარგულება);
3. გეგმარებითი დავალება;
4. გეგმარებით დავალებაში ცვლილება (არსებობის შემთხვევაში);
5. გამოყენებული შემოკლებები (გამოყენებული ტერმინების შემოკლებები და მათი გაშიფვრა);
6. გამოყენებული პირობითი აღნიშვნები (რუკებზე მოცემული პირობითი სიმბოლოების გრაფიკული და ტექსტური გაშიფვრა; ზონირების ნაწილში მგ დადგენილი ფერები);
7. გრაფიკული ნაწილის ნუსხა (ცხრილის სახით გეგმების, რუკების, სქემების ან/და ილუსტრაციების ჩამონათვალი, შესაბამისი აღნიშვნებით ან/და ნუმერაციით);
8. დაგეგმვის მიზანი და ამოცანები (რა სახის და შინაარსის გარემოს ფორმირებას ემსახურება გრგ; რა გარემოებები იქნა გათვალისწინებული გადაწყვეტებში და რა გამოწვევებს პასუხობს გრგ);
9. სივრცით ტერიტორიული განვითარების რეგლამენტები (ზონაში უძრავი ქონების ნებადართული გამოყენების სახეობები; შესაბამისი განაშენიანების რეგულირების პარამეტრები; განსხვავებული პარამეტრები ან/და გამოყენების სახეობები; შენობათა განთავსების განსხვავებული წესი);
10. დაგეგმვის ეფექტიანობის (ხეირიანობის) შეფასება (swot) ანალიზი (დაგეგმვის შედეგად ხარჯების გადანაწილების პირობები და მათი სამომავლო შედეგები (ეფექტი); პროექტის განხორციელების სარგებლიანობა კერძო და საჯარო ინტერესების ჭრილში);
11. მშენებლობის განხორციელების ეტაპები და რიგითობა;
12. გეგმარებითი დავალების საწყისი საკადასტრო მონაცემები (საკადასტრო გეგმები);

13. სიტუაციური გეგმა;
14. ტოპოგრაფიული გეგმა (1:500მ–დან 1:10000–მდე);
15. საპროექტო ტერიტორიის საზღვრების რუკა;
16. ფოტოსურათები (თარიღის მითითებით);
17. ფოტოფიქსაციის სქემა;
18. ტექნოგენური საფრთხეების ზონირება;
19. ბუნებრივი საფრთხეების ზონირება;
20. სამშენებლო და არასამშენებლო ტერიტორიების ზონირება;
21. გეგმარების შეზღუდვის ზონირება;
22. ტერიტორიული–სტრუქტურული ზონირება;
23. ფუნქციური ზონირება;
24. გეგმარების შემზღუდავი კონკრეტული ზონირება;
25. ტერიტორიის სტრუქტურული კონკრეტული ზონირება;
26. მიწის ნაკვეთების განაწილების გეგმა;
27. დადგენილი ფუნქციური ზონების და გამოყენების სახეობების (ობიექტები და ფუნქციები) გეგმა;
28. მიწის ნაკვეთის კ-1, კ-2, კ-3 დადგენის გეგმა;
29. შენობა–ნაგებობების მაქსიმალური სიმაღლის ან/და სართულიანობის დადგენის გეგმა;
30. მიწის ნაკვეთის მინიმალური ფართობის და ზომების დადგენის გეგმა;
31. მიწის ნაკვეთებზე შენობათა განთავსების გეგმა;
32. ავტომატების სადგომი ადგილების რაოდენობის დადგენის გეგმა;
33. მიწის ნაკვეთების დეტალური რეგლამენტების დოკუმენტი;
34. ავტოსადგომების განაწილების გეგმა;
35. საპროექტო ტერიტორიის ქუჩათა ქსელის გეგმა, შენობის განლაგების, შენობის სამანქანო მისადგომის, სამანქანო შესასვლელის, საფეხმავლო შესასვლელების და მოძრაობის მიმართულების მითითებით;
36. საპროექტო ტერიტორიის მოძრაობის ორგანიზების სქემა მიმდებარე ქუჩებთან კავშირის ჩვენებით და პარამეტრების (მათ შორის ტროტუარის) მითითებით;
37. მიწის ნაკვეთების იმ მესაკუთრეების თანხმობები, რომელთა საკუთრებაზეც გაივლის დაგეგმილი საგზაო ინფრასტრუქტურა;
38. წყალსადენის და საყოფაცხოვრებო წყალარინების ძირითადი და ლოკალური ქსელის გეგმა;
39. წარმოდგენილი იქნეს საპროექტო ტერიტორიაზე სახანძრო ჰიდრანტების მოწყობის გეგმა;
40. ელექტრომომარაგების ძირითადი და ლოკალური ქსელის გეგმა;
41. გარე განათების ქსელის სქემატური ნახაზი;
42. ბუნებრივი აირით მომარაგების ძირითადი და ლოკალური ქსელის რუკა;
43. სანიაღვრე წყალარინების ძირითადი და ლოკალური ქსელის გეგმა;
44. გამწვანების დენდროლოგიური გეგმა;
45. ვერტიკალური გეგმარება;
46. ვიზუალიზაცია;
47. ზოგადი საინჟინრო გეოლოგიური დასკვნა;
48. საჯარო რეესტრის ამონაწერები და თანხმობის აქტები;
49. არქეოლოგიური კვლევის ცენტრის დასკვნა (საჭიროების შემთხვევაში).

5 შენიშვნები:

1. გრგ-ს პროექტის შემადგენლობაში წარმოდგენილი იქნეს ტერიტორიის არსებული მდგომარეობის ამსახველი წინასაპროექტო კვლევის მონაცემები ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ მე-2 თავის 8-ე მუხლისა და ამ გეგმარებითი დავალების მოთხოვნების შესაბამისად;
2. განაშენიანების რეგულირების გეგმის დასამტკიცებლად წარმოსადგენი დოკუმენტაციის მასალები AutoCAD ან ArchiCAD, PDF ფორმატში ატვირთული იქნეს პორტალზე <https://urban.tbilisi.gov.ge> განაშენიანების რეგულირების გეგმის ელექტრონული განცხადების კატეგორიაში, ნომენკლატურა: განაშენიანების რეგულირების გეგმა. საკოორდინატო სისტემა უნდა შეესაბამებოდეს WGS 1984 UTM Zone 38N-ს.
3. გრაფიკული ნაწილის მასშტაბები უნდა შეესაბამებოდეს გეგმარებითი დავალებით დადგენილ, რაც შეიძლება დაზუსტდეს ან შეიცვალოს დაგეგმვის საჭიროების მიხედვით;
4. გრაფიკული ნაწილის მასშტაბების ძირითადი დიაპაზონი არის 1:500-1:5000;
5. გრგ ნახაზებზე გამოიყენება რიცხობრივი მასშტაბი. სურვილისამებრ შესაძლებელია დამატებით ხაზოვანი მასშტაბის გამოყენება.

დამატებითი ინფორმაცია:

საპროექტო ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავებული პროექტი და საპროექტო დოკუმენტაცია წარადგინოს დამკვეთმა ან დამპროექტებელმა (დამკვეთის შესაბამისი ფორმით დამოწმებული თანხმობით) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურში.

წინამდებარე გეგმარებითი დავალება ძალაშია მისი გაცემის თარიღიდან სამი წლის განმავლობაში.



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა



განკარგულება - N 19.1102.1402
17 / ოქტომბერი / 2019 წ.

ქ. თბილისში, გლდანში, ქერჩის ქუჩა N6 და N6a-ს მიმდებარედ საკადასტრო კოდები: N01.11.05.029.168; 01.11.05.029.167; 01.11.05.029.212 განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების მოწონების შესახებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურს 2019 წლის 18 თებერვალს N01190494558-67 (01191703024-67 - 19.06.2019 , 01192141-67 - 02.08.2019, 01192563724-67 - 13.09.2019, 0119267171-67 - 24.09.2019) განცხადებით მიმართა მიხეილ რომაშვილმა (პ/ნ 62007000502) და მოითხოვა ქ. თბილისში, გლდანში, ქერჩის ქუჩა N6 და N6a-ს მიმდებარედ საკადასტრო კოდები: N01.11.05.029.168; 01.11.05.029.167; 01.11.05.029.212 განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცება.

საპროექტო ტერიტორია მოიცავს 3 მიწის ნაკვეთს (01.11.05.029.168; 01.11.05.029.167; 01.11.05.029.212). აქედან ორი (01.11.05.029.168; 01.11.05.029.167) კერძო საკუთრებაშია და ერთი (01.11.05.029.212) მუნიციპალურ საკუთრებას წარმოადგენს. კერძო მიწის ნაკვეთები ესაზღვრება გმირი კურსანტების ქუჩას, ხოლო მუნიციპალური მიწა ტერიტორიის სიღრმეში მდებარეობს, მასთან სამანქანო მისვლა შესაძლებელია მხოლოდ ტერიტორიის ჩრდილო აღმოსავლეთით არსებული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთით, რომელზეც ვრცელდება სერვიტუტი. მიწის ნაკვეთს არ გააჩნია საზოგადოებრივი სივრცე და აქვს არასათანადო კონფიგურაცია. მთლიანად არეალი წარმოადგენს მოუწესრიგებელი ტერიტორიის ნაწილს, რომელზეც აეროფოტოგადაღების მასალებიდან იკვეთება მიტაცებული მიწის ნაკვეთები და ქაოტური რეგისტრაციები. საპროექტო და მომიჯნავე ტერიტორიაზე მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6, ხოლო გამწვანებული რუკის მიხედვით ტერიტორიის გარკვეულ მონაკვეთში ვრცელდება შიდა კვარტალური გამწვანების ფენა. მთლიანად ტერიტორია ხასიათდება რთული რელიეფით, ტერიტორიის სამხრეთ ნაწილში არსებული დამრეცი ფერდის საშუალო ქანობია 15 გრადუსი, რომელიც მშენებლობის სტადიაზე წარმოქმნის გარკვეულ სირთულეებს. მეორე მხრივ ტერიტორიაზე გმირი კურსანტების მხარეს განთავსებულია ხეები, იგეგმება რამდენიმე მათგანის გადარგვა.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6).

წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით კერძო მესაკუთრეების მიწის ნაკვეთებზე მოთხოვნილია არის განაშენიანების კოეფიციენტების გადამეტება, ორი 11-12 სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსება საცხოვრებელი, კომერციული ფუნქციებით, ხოლო მუნიციპალურ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე გათვალისწინებული მხოლოდ გამწვანებისა და საპროექტო გზის მოწყობა.

ნაკვეთი N1 (01.11.05.029.168) 2245 კვ.მ

კერძო საკუთრება

კ-1 = 0,5


კ-2 = 4,8

კ-3 = 0,3

ნაკვეთი N2 (01.11.05.029.167) 1037 კვ.მ

კერძო საკუთრება

კ-1 = 0,5



კ-2 = 3,7

კ-3 = 0,3

ნაკვეთი N2 (01.11.05.029.212) 1037 კვ.მ

მუნიციპალური საკუთრება

კ-1 = 0,5

კ-2 = 2,5

კ-3 = 0,3

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-3 მუხლის თანახმად,

ქალაქ თბილისის ქალაქთმშენებლობითი განვითარების პრიორიტეტია არსებული განაშენიანებული ტერიტორიების გამოყენების რაციონალიზაცია და ეფექტიანობის გაზრდა, მათ შორის ამორტიზებული ან/და დეგრადირებული განაშენიანების განახლება-განვითარება.

ქალაქ თბილისის ტერიტორიების განაშენიანების რეგულირების წესებით დაშვებული ნებისმიერი ფორმით გამოყენება და განაშენიანება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ ტერიტორიები უზრუნველყოფილია სათანადო საინჟინრო სატრანსპორტო და მწვანე ინფრასტრუქტურით.

განაშენიანებული ტერიტორიების ქალაქთმშენებლობითი განვითარება (რაციონალიზაცია, ინტენსივობის-სიმჭიდროვის ზრდა) დასაშვებია, მხოლოდ არსებული საინჟინრო, სატრანსპორტო და მწვანე ინფრასტრუქტურის დოკუმენტურად დადასტურებული შესაბამისობის ან გაუმჯობესების პირობებში.

გაუანაშენიანებელი ტერიტორიების განაშენიანება დასაშვებია მხოლოდ სათანადო საინჟინრო, სატრანსპორტო და მწვანე ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფის პირობით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის 2019 წლის 4 ივლისის N01191852531 წერილის შესაბამისად, კვლევაში წარმოდგენილ ინფორმაციაზე დაყრდნობით ირკვევა, რომ დღეისათვის საპროექტო ტერიტორია დამაკმაყოფილებლად არის მომსახურებული საზოგადოებრივი ტრანსპორტით, ობიექტის საპროგნოზო მგზავრობები არ მოახდენს მნიშვნელოვან გავლენას საზოგადოებრივი ტრანსპორტის დატვირთულობაზე. ამავე დროს, ახალი საავტობუსე ქსელის მიმდინარე კვლევის ფარგლებში მიმდებარე ტერიტორია მოიაზრება, როგორც ტრანზიტული საჯარო ტრანსპორტის დერეფანი (კარგად შეკავშირებული, ხშირი და მაღალი მოცულობის ქსელი). საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ დამაკმაყოფილებელია საფეხმავლო ინფრასტრუქტურა. აღსანიშნავია, რომ საფეხმავლო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება მერიის სატრანსპორტო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია. საპროექტო ტერიტორია არ იქონიებს არსებით უარყოფით ზეგავლენას მიმდებარე საგზაო ინფრასტრუქტურაზე. გარდა ამისა საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაუმჯობესება და საფეხმავლო მისაწვდომობის გაუმჯობესება შესაძლებელს გახდის მოდალურ განაწილებაში საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოზმარების წილის მნიშვნელოვნად გაზრდას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური, თავის კომპეტენციის ფარგლებში არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების შეთანხმების წინააღმდეგი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2019 წლის 2 ოქტომბრის N01192751947 წერილის გათვალისწინებით, წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით სამსახურს შენიშვნები არ გააჩნია და კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2019 წლის 2 ოქტომბრის 61-0119275261 წერილის შესაბამისად, სსიპ - ქონების მართვის სააგენტო, არ არის წინააღმდეგი 01.11.05.029.212 - საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი მოექცეს განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების საპროექტო არეალში, მხოლოდ იმ პირობით თუ არ შემცირდება მისი განაშენიანების პოტენციალი.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-19 დადგენილების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, კ-2 კოეფიციენტის ზღვრული მაჩვენებლების შეცვლის მიზნით ამ დადგენილების ამოქმედებამდე წარდგენილ იმ განცხადებებთან დაკავშირებით, რომელთა თაობაზე ადმინისტრაციული წარმოება არ დასრულებულა, გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს განცხადების

წარდგენის დროს მოქმედი წესების შესაბამისად.

„განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების შემთხვევაში მაკომპენსირებელი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 5 აპრილის N19.388.520 განკარგულებით, რეკომენდაცია გაეწია ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურს განაშენიანების რეგულირების გეგმისა და სპეციალური (ზოხალური) შეთანხმების ფარგლებში, მრავალბინიანი საცხოვრებელი ფუნქციის შემცველ ობიექტზე, განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტების თაობაზე კ-2 კოეფიციენტის ზღვრული მაჩვენებლების შეცვლის მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-19 დადგენილების ამოქმედებამდე წარდგენილ იმ განცხადებებთან დაკავშირებით, რომელთა თაობაზე ადმინისტრაციული წარმოება არ დასრულებულა, მაკომპენსირებელ ღონისძიებად განსაზღვროს საპროექტო არეალში საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადაცემა ე.წ. „თეთრ კარკასულ“ მდგომარეობაში, თუ მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტების ფარგლებში მიღებული ნამატი საანგარიშო ფართობი აღემატება 350 კვ.მ.-ს, ამასთანავე გადაწყვეტილება მიღებულ იქნას ქალაქგეგმარებითი პირობების (ურბანული, სატრანსპორტო და სხვა ქალაქთმშენებლობითი რეგულაციები) გათვალისწინებით. ამასთან, ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ფართობი განისაზღვროს განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტებით ნამატი ფართის 10%-ის ოდენობით (დამრგვალდეს საპროექტო ობიექტის არქიტექტურული პროექტით გათვალისწინებული ერთეულების გეგმარების შესაბამისად არსებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით).

წარმოდგენილი წინადადებით საპროექტო ტერიტორია ვითარდება მოქმედი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით დადგენილი ფუნქციური ზონის, საცხოვრებელი ზონა ნ-ით (სზ-6). ტერიტორია უზრუნველყოფილია სატრანსპორტო, საინჟინრო, ინფრასტრუქტურითა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის მიწოდებით. ასევე საცხოვრებელ ზონა 6-ისათვის დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის პარამეტრის გადამეტება სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია ვინაიდან შენარჩუნებული და დაცულია მიმდებარე არსებულ და ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციით განსაზღვრულ განაშენიანებასთან, სტრუქტურასთან და მის მასშაბთან შესაბამისად არსებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის 2019 წლის 10 ოქტომბრის N21-01192831501 წერილის შესაბამისად, გათვლებში მითითებული მშენებლობის ღირებულება შეესაბამება ბაზარზე არსებულ საშუალო მაჩვენებელს. გათვლებში მითითებული სარეალიზაციო ფასები შეესაბამება ბაზარზე არსებულ საშუალო ფასებს. გათვლებში მითითებულ ვალდებულებას გააჩნია ეკონომიკური საფუძველი და წარმოადგენს კ-2 კოეფიციენტის მომატებით მიღებული ფართობის 10 % . გადასახადების დაანგარიშების მეთოდოლოგია სწორია. პროექტის მოგების მარჯა შეესაბამება მისაღებ მაჩვენებელს. (მოგების მარჯვის გრაფაში ტექნიკური ხასიათის შეცდომაა, თუმცა საბოლოო შედეგი არ იცვლება, რადგან დათვლისთვის საჭირო ყველა კომპონენტი სწორია და ამ შემთხვევაში მარჯა მისაღებია)

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ გათვალისწინებულია მოთხოვნილი განაშენიანების ინტენსივობის გადამეტებით წარმოქმნილი ვალდებულება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების N19.388.520 (5.04.2019) შესაბამისად. რაც კომპრეტულ შემთხვევაში გამოიხატება მუნიციპალიტეტისათვის 640 კვ.მ.-ის გადმოცემით, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დასაშვებია საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 75-ე მუხლის „ე.ბ“ ქვეპუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტების საფუძველზე და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ N01190494558-67 (01191703024-67 - 19.06.2019 , 01192141-67 - 02.08.2019, 01192563724-67 - 13.09.2019, 0119267171-67 - 24.09.2019 განცხადებაზე მომზადებული საინფორმაციო ბარათის გათვალისწინებით,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნას ქ. თბილისში, გლდანში, ქერჩის ქუჩა N6 და N6ა-ს მიმდებარე საკადასტრო კოდები: N01.11.05.029.168; 01.11.05.029.167; 01.11.05.029.212 განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტი.
2. მაკომპენსირებელ ღონისძიებად განსაზღვროს საპროექტო არეალში საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადაცემა ე.წ. „თეთრ კარკასულ“ მდგომარეობაში
3. საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ფართობი განისაზღვროს განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტებით ნამატი ფართის 10%-ის ოდენობით (დამრგვალდეს საპროექტო ობიექტის არქიტექტურული პროექტით გათვალისწინებული ერთეულების გეგმარების შესაბამისად არსებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით).
4. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ამ განკარგულების მეორე და მესამე პუნქტებით გათვალისწინებულ ქონების გადაცემის თაობაზე ხელშეკრულების გაფორმება უზრუნველყოს მშენებლობის ნებართვის მაძიებელთან მშენებლობის ნებართვის მიღებამდე.
5. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში მშენებლობის

ნებართვის მაძიებელს მოსთხოვოს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტოსთან ამ განკარგულების მე-4 პუნქტის შესაბამისად გაფორმებული ხელშეკრულების წარმოდგენა.

6. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის წინამდებარე განკარგულების გადაგზავნა დაინტერესებული მხარეებისთვის.
7. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს ილია ელოშვილს.
8. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

კახა კალაძე



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა



განკარგულება - N 19.388.520

5 / აპრილი / 2019 წ.

განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების შემთხვევაში მაკომპენსირებელი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების 2019 წლის 21 მარტამდე მოქმედი რედაქციის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დაშვებული იყო განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტება დედაქალაქის ტერიტორიების განვითარებასთან დაკავშირებული განსაკუთრებული სოციალური, ეკონომიკური და სხვა გარემოებებისა და საჯარო ინტერესების გათვალისწინებით.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებულ წესებში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-19 დადგენილებით შეტანილ იქნა ცვლილება, რომლის თანახმად, განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტება შეიზღუდა.


ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-19 დადგენილების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, კ-2 კოეფიციენტის ზღვრული მაჩვენებლების შეცვლის მიზნით, ამ დადგენილების ამოქმედებამდე წარდგენილ იმ განცხადებებთან დაკავშირებით, რომელთა თაობაზე ადმინისტრაციული წარმოება არ დასრულებულა, გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს განცხადების წარდგენის დროს მოქმედი წესების შესაბამისად.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტის საბინაო სოციალური ვალდებულებების ეფექტურად შესრულების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია, იმ განცხადებებთან დაკავშირებით, რომლებიც განსახილველად წარდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-19 დადგენილების ამოქმედებამდე და ქალაქგვგამარებითი (ურბანული, სატრანსპორტო და სხვა ქალაქმშენებლობითი რეგულაციები) თვალსაზრისით კოეფიციენტის გადამეტება მიზანშეწონილია, განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტება განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საბინაო ვალდებულებებთან თავსებადი ასალი მაკომპენსირებელი ღონისძიებების გამოყენებით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“, ქვეპუნქტისა და 75-ე მუხლის „ა.ბ“ ქვეპუნქტისა და „სივრცითი მოწყობისა და ქალაქმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. რეკომენდაცია გაეწიოს ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურს განაშენიანების რეგულირების გეგმისა და სპეციალური (ზონალური) შეთანხმების ფარგლებში, მრავალბინიანი საცხოვრებელი ფუნქციის შემცველ ობიექტზე, განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტების თაობაზე კ-2 კოეფიციენტის ზღვრული მაჩვენებლების შეცვლის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-19 დადგენილების ამოქმედებამდე წარდგენილ იმ განცხადებებთან დაკავშირებით, რომელთა თაობაზე ადმინისტრაციული წარმოება არ დასრულებულა, მაკომპენსირებელი ღონისძიებად განსაზღვროს საპროექტო არეალში საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაცემა ე.წ. თეთრ კარკასულ მდგომარეობაში, თუ მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტების ფარგლებში მიღებული ნამატი საანგარიშო ფართობი აღემატება 350 კვ.მ-ს, ამასთანავე, გადაწყვეტილება მიღებულ იქნას ქალაქგვგამარებითი პირობების (ურბანული, სატრანსპორტო და სხვა ქალაქმშენებლობითი რეგულაციები) გათვალისწინებით.



2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ფართობი განისაზღვროს განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტებით, ნამატი ფართის 10%-ის ოდენობით (დამრგვალდეს საპროექტო ობიექტის არქიტექტურული პროექტით გათვალისწინებული ერთეულების გეგმარების შესაბამისად არსებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით).

3. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ამ განკარგულების პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებულ ქონების გადაცემის თაობაზე ხელშეკრულების გაფორმება უზრუნველყოს მშენებლობის ნებართვის მაძიებელთან მშენებლობის ნებართვის მიღებამდე.

4. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს, მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში მშენებლობის ნებართვის მაძიებელს მოსთხოვოს საჯარო სამართლის იურიდიული პირ - ქონების მართვის სააგენტოსთან ამ განკარგულების მე-3 პუნქტის შესაბამისად გაფორმებული ხელშეკრულების წარმოდგენა.

5. წინამდებარე განკარგულება, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, არ ვრცელდება ავარიული შენობა-ნაგებობების ჩანაცვლების, დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისა და კოოპერატიული ბინათმშენებლობებისათვის გამოყოფილ/გადაცემულ მიწის ნაკვეთებზე განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტების შემთხვევებზე.

6. კონტროლი ამ განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს მაია ბითაძეს.

7. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი N6), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი



კახა კალაძე



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური



წერილის ნომერი: 01192751947

თარიღი: 02/10/2019

პინი: 9587

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა, კომპეტენციის ფარგლებში, განიხილა თქვენი მიმდინარე წლის წლის 24 სექტემბრის №0119267171-67 განცხადება, რომელიც ეხება ქალაქ თბილისში, ქერჩის ქუჩა №6-ის მიმდებარე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ:01.11.05.029.168; 01.11.05.029.212; 01.11.05.029.167; ფუნქციური ზონა: საცხოვრებელი ზონა 6) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების საკითხს.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების მე-8 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნებიდან, წარმოდგენილი დოკუმენტაცია მოიცავს დაგეგმილი გამწვანების შესახებ ზოგად მონაცემებს, გამწვანების კოეფიციენტის - კ3 ფართობის მითითებით ($k_3 = 1 \cdot 667.7 \text{ მ}^2$) და ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების ხარისხობრივ შეფასებას (ტაქსაცია), რომლის შესაბამისად, განმცხადებელი 01.11.05.029.168 საკადასტრო ერთეულზე გეგმავს ერთი ძირი მწვანე ნარგავის (№8 ელდარის ფიჭვი $D=48.7$), ხოლო 01.11.05.029.167 საკადასტრო ერთეულზე - 4 ძირი მწვანე ნარგავის გადარგვას (№31; №32; №33 №34 კურდღლისცოცხა $D=2$, $D=4$, $D=2$, $D=2$ და №29 ელდარის ფიჭვი $D=52.9$).

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით სამსახურს შენიშვნები არ გააჩნია და კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება.

დამატებით გაცნობებთ, რომ განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების ეტაპზე სამსახური მსჯელობს მხოლოდ იმ მწვანე ნარგავების მოჭრა/გადარგვის საკითხთან დაკავშირებით, რომლებიც უშუალოდ მდებარეობენ სამშენებლო არეალში და ხელს უშლიან პროექტის განხორციელებას. გამომდინარე იქიდან, რომ განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი მწვანე ნარგავები, კერძოდ, 01.11.05.029.167 საკადასტრო ერთეულზე მდებარე 1 ძირი №39 ზეხმელი კაკალი და 01.11.05.029.212 საკადასტრო ერთეულზე მდებარე ერთი ძირი №40 ზეხმელი კომში, ერთი ძირი №41 ზეხმელი თუთა, ერთი ძირი №42 ხმობადი თუთა და №43 ჯანსაღი ბროწეული არ ხვდება სამშენებლო არეალში და არ უშლის ხელს პროექტის განხორციელებას, განმცხადებელმა აღნიშნული მწვანე ნარგავების მოჭრა/გადარგვის ნებართვის მოსაპოვებლად სხვა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში უნდა მიმართოს მწვანე ნარგავების ჭრის/გადარგვის ნებართვის გამცემ შესაბამის უფლებამოსილ ორგანოს.

აქვე გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი საპროექტო გენგეგმის მიხედვით სამშენებლო არეალში მოხვედრილია და პროექტის განხორციელებას ხელს უშლის 01.11.05.029.167 საკადასტრო ერთეულზე მდებარე 5 ძირი №30; №35; №36; №37; №38 კურდღლისცოცხა და 01.11.05.029.168 საკადასტრო ერთეულზე მდებარე ერთი ძირი №24 თუთა და სამი ძირი №1; №2; №26 კურდღლისცოცხა. თუმცა, განმცხადებელი მიერ არ არის დაზუსტებული მოთხოვნა მათი მოჭრა/გადარგვის შესახებ. აღნიშნულის გათვალისწინებით, განმცხადებელმა განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების ეტაპზე, უნდა დააზუსტოს მოთხოვნა აღნიშნული მწვანე ნარგავების მოჭრა/გადარგვის საკითხთან დაკავშირებით.

დამატებით, გამწვანების დეტალურ პროექტთან დაკავშირებით, რომელიც ასევე უნდა დამუშავდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების ეტაპზე, გაცნობებთ, რომ

და ფოთლოვანი ხე-მცენარეებით.

მაღალპროდუქტიული კორომების შექმნისა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, სამსახური უპირატესობას ანიჭებს დიდი ვარჯის მქონე ხეების დარგვას ბუჩქებთან და გაზონებთან მიმართებით. ამდენად, მწვანე ნარგავების რაოდენობა უნდა განისაზღვროს შემდეგნაირად: 10-12 კვ. მეტრი 1 ძირი მცირე ზომის ან პირამიდული ვარჯის მქონე ხისთვის (მაგ. ირმის რქა, ნეკერჩხალი (ლეკა) ბურთისებრი ფორმა და სხვა), ხოლო 20-25 კვ. მეტრი დანარჩენი წიწვოვანი და ფოთლოვანი ხეებისთვის.

დასარგავი მწვანე ნარგავების სახეობა უნდა შეირჩეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის №05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან, გარდა შავი და ელდარის ფიჭვების, ასევე კვიპაროსის სახეობების ხეებისა.

ვინაიდან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და მის შემოგარენში, ელდარისა და შავი ფიჭვის სახეობებში მასობრივად არის გავრცელებული მავნებლებით გამოწვეული დაავადებები, რაც იწვევს მათ დაზიანებასა და ხშობას, დაავადების გავრცელების ან/და ახალი კერების წარმოქმნის პრევენციის მიზნით, სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია გამწვანების პროექტში აღნიშნული სახეობების გამოყენება.

დასარგავ მწვანე ნარგავებთან დაკავშირებით, ასევე გაცნობებთ, რომ ვერხვის სახეობები ტენის მოყვარული მალე მზარდი ხეებია, მათ გააჩნიათ საკმაოდ ძლიერი ფესვთა სისტემა, რომელიც ვითარდება წყლის მიმართულებით. შესაბამისად, ურბანულ სივრცეებში, შენობანაგებობების, წყალ-გაყვანილობისა და კანალიზაციის მილების დაზიანების გამოწვევი მიზეზი ხშირად ხდება. ასევე, მათი დაბალი ამორტიზაციის ასაკის გამო ვერხვის მტვრევადი ტოტები და წაცვევის საშიშროება საფრთხეს უქმნის მოსახლეობასა და კერძო საკუთრებას. აგრეთვე, ყვავილობის პერიოდში ვერხვის ბუსუსოვანი თესლი ჰაერში აქტიურად იფანტება და სერიოზულ საფრთხეს უქმნის ალერგიის მქონე ადამიანებს; ასევე, ვინაიდან ვერხვი თავისი ჰაბიტატითა და სასიცოცხლო ფუნქციით ტენიანი ტერიტორიების ბინადარია და მისი აგროდეკორატიული დანიშნულება ქარსაცავი ზოლის შექმნაა, ის უნდა დაირგოს დასახლებიდან მოშორებით. შესაბამისად, შესაძლო ზიანის პრევენციისათვის, მიზანშეწონილი არ არის ალვის ხის დარგვა ინტენსიურად დასახლებულ უბნებში.

აქვე გაცნობებთ, რომ ფოთლოვანი ხეების დარგვის შემთხვევაში ნერგის სიმაღლე უნდა იყოს არანაკლებ 3.5 მეტრი, ხოლო, წიწვოვანის შემთხვევაში - არანაკლებ 3 მეტრი, ხოლო ნერგის გარშემოწერილობა - არანაკლებ 20 სანტიმეტრი.

დამატებით გაცნობებთ, რომ დადგენილების მე-9 მუხლის მე-17 პუნქტის მიხედვით, განაშენიანების რეგულირების გეგმის შემუშავებისას იმ შემთხვევაში, როდესაც დასაგეგმარებელი ტერიტორია ხვდება შესაბამისი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საზღვრებში, დასაგეგმარებელ ტერიტორიაზე თვალსაჩინო ადგილას განთავსებულ საინფორმაციო დაფაზე განაშენიანების ძირითადი დებულებებით გათვალისწინებული ინფორმაციის გარდა აუცილებლად უნდა იყოს განთავსებული განაშენიანების რეგულირების გეგმით დაგეგმილი გამწვანების სივრცეების შესახებ ინფორმაცია.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
ტრანსპორტის საქალაქო სამსახური



წერილის ნომერი: 01192683238

თარიღი: 25/09/2019

პინი: 6570

გადამოწმეთ: document.municipal.gov.ge

2019 წლის 13 სექტემბრის თქვენი N 01192563724-67 განცხადების პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში, ქერის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე (ს/კ 01.11.05.029.167, 01.11.05.029.168, 01.11.05.029.189, 01.11.05.029.212) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით, განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების შეთანხმების შესახებ პოზიციის დაფიქსირებას, გაცნობებთ:

ტრანსპორტის საქალაქო სამსახურმა, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, პოზიცია დააფიქსირა N 01191852531 წერილით.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია ტრანსპორტის საქალაქო სამსახური



ნერილის ნომერი: 01191852531

თარიღი: 04/07/2019

პინი: 4745

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

2019 წლის 19 ივნისის თქვენი N 01191703024-67 განცხადების პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში, ქერჩის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე (ს/კ 01.11.05.029.167, 01.11.05.029.168, 01.11.05.029.189, 01.11.05.029.212) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით, განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების შეთანხმების შესახებ პოზიციის დაფიქსირებას, გაცნობებთ:

ტრანსპორტის საქალაქო სამსახურმა თავისი კომპეტენციის ფარგლებში განიხილა წარმოდგენილი დოკუმენტაცია.

კვლევაში წარმოდგენილ ინფორმაციაზე დაყრდნობით ირკვევა, რომ დღეისათვის საპროექტო ტერიტორია დამაკმაყოფილებლად არის მომსახურებული საბ. ტრანსპორტით, ობიექტის საპროგნოზო მგზავრობები არ მოახდენს მნიშვნელოვან გავლენას საზოგადოებრივი ტრანსპორტის დატვირთულობაზე. ამავდროულად, ახალი საავტომობილო ქსელის მიმდინარე კვლევის ფარგლებში მიმდებარე ტერიტორია მოიაზრება, როგორც ტრანზიტული საჯარო ტრანსპორტის დერეფანი (კარგად შეკავშირებული, ხშირი და მაღალი მოცულობის ქსელი).

საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ დამაკმაყოფილებელია საფეხმავლო ინფრასტრუქტურა. აღსანიშნავია, რომ საფეხმავლო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება მერიის სატრანსპორტო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია.

საპროექტო ტერიტორია არ იქონიებს არსებით უარყოფით ზეგავლენას მიმდებარე საგზაო ინფრასტრუქტურაზე. გარდა ამისა, საბ. ტრანსპორტის გაუმჯობესება და საფეხმავლო მისაწვდომობის გაუმჯობესება შესაძლებელს გახდის მოდალურ განაწილებაში საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოხმარების წილის მნიშვნელოვნად გაზრდას.

ბეშალნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური, თავის კომპეტენციის ფარგლებში არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების შეთანხმების წინააღმდეგი.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური



წერილის ნომერი: 21-01192831501
თარიღი: 10/10/2019

ადრესატი:

გვანცა ნიკოლაიშვილი

ქალბატონო გვანცა,

თქვენი 2019 წლის 2 ოქტომბრის N 67-0119275203 წერილის პასუხად, რომელიც ეხება ქ. თბილისში, ქერჩის ქ. N 6-ში და ქერჩის ქ. N-6ა მიმდებარე მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე პოზიციის წარმოდგენის თხოვნას, მოგახსენებთ:

1. გათვლებში მითითებული მშენებლობის ღირებულება შეესაბამება ბაზარზე არსებულ საშუალო მაჩვენებელს.
2. გათვლებში მითითებული სარეალიზაციო ფასები შეესაბამება ბაზარზე არსებულ საშუალო ფასებს.
3. გათვლებში მითითებულ ვალდებულებას გააჩნია ეკონომიკური საფუძველი და წარმოადგენს კ2 კოეფიციენტის მომატებით მიღებული ფართობის 10 %
4. გადასახადების დაანგარიშების მეთოდოლოგია სწორია
5. პროექტის მოგების მარჯა შეესაბამება მისაღებ მაჩვენებელს. (მოგების მარჯის გრაფაში ტექნიკური ხასიათის შეცდომაა, თუმცა საბოლოო შედეგი არ იცვლება, რადგან დათვლისთვის საჭირო ყველა კომპონენტი სწორია და ამ შემთხვევაში მარჯა მისაღებია)

პატივისცემით,

ანდრია ბასილაია

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტო



წერილის ნომერი: 61-0119275261

თარიღი: 02/10/2019

პინი: 3761

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

მისამართი: შარტავას ქ. 7ა

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსს

ბატონ - გიორგი ებანოიძეს

ბატონო გიორგი,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტომ განიხილა თქვენი 16.09.2019 წლის N67-01192592793 (N12-0119260100-61, 17.09.2019 წ) წერილი, რომლითაც ითხოვდით, ქ. თბილისი, ქუჩა ქერჩის N6, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული 2277 კვ.მ (საკადასტრო კოდი: 01.11.05.029.212) მიწის ნაკვეთიზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანულ სამსახურში N01192563724-67 განცხადებით შემოთავაზებული განაშენიანების რეგულირების გეგმის (გეგმარებითი დავალება) დამუშავებასთან დაკავშირებით სამსახურის პოზიციის დაფიქსირებას.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ სსიპ - ქონების მართვის სააგენტო, არ არის წინააღმდეგი 01.11.05.029.212 - საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი მოექცეს განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების საპროექტო არეალში, მხოლოდ იმ პირობით თუ არ შემცირდება მისი განაშენიანების პოტენციალი.

პატივისცემით,


ირაკლი თავართქილაძე

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური



პირობითი აღნიშვნები